

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

დადგენილება N12

11 აგვისტო 2008 წელი

ქ. თბილისი

„საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის, მიერ კომერციული ბანკებისათვის სესხის გაცემის წესის“ დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის ვ) პუნქტის, 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის, მიერ კომერციული ბანკებისათვის სესხის გაცემის თანდართული წესი.

2. ამ დადგენილების დაუყოვნებლივ ამოქმედება განპირობებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2008 წლის 14 მარტს განხორციელებული ცვლილებებით.

3. ეს დადგენილება ძალაშია 2008 წლის 11 აგვისტოდან.

დ. ამაღლობელი

საქართველოს ეროვნული ბანკის

საბჭოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი